პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ავანგარდი

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორდღიური ორგანო
გამოცემის 31 წელი

АВАНГАРДИ Орган Цхакаевского райкома КП Грузии и Райсовета депутатов трудящихся

№ 36 (2.430) პარასკევი, 23 მარტი, 1956 წ. ფ. 15 კ.

# სასოფლო საბჭოების უპირველესი ამოცანა

Ჩვენი დიდი ქვეყნის მილიონობით ადამიანი უდიდესი სიხარულის გრძნობით, თავდადებით შრომობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებებში, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენებაში—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, შეჯამებულია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარების დიდი შედეგები, დასახულია კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

მეექვსე ხუთწლედში სოციალისტური ინდუსტრიის ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნება სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

მიმდინარე წლის უხვი მოსავლის ბედს სწყვეტს საგაზაფხულო თესვის გეგმის სანიმუშოდ შესრულება. ამჟამად ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ თესვას, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ იგი. ამ ამოცანის შესრულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სასოფლო საბჭოების მუშაობაზე, მათ უნარზე—დარაზმონ საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელი საგაზაფხულო თესვისათვის ყოველმხრივ მოსამზადებლად. არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა, რაც ჩვენს რაიონში აღინიშნა განვლილ პერიოდში, სერიოზულად შეუშალა ხელი საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, მაგრამ მეტი მონდომებული მუშაობის მეოხებით შეიძლებოდა უკეთესი მაჩვენებლების მოპოვება. ამჟამად კოლმეურნეობათა საგრძნობ ნაწილში სერიოზული ჩამორჩენაა პირველი ხვნის საქმეში. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 20 მარტის მდგომარეობით დასამუშავებელი ფართობის მხოლოდ 29,1 პროცენტი იყო მოხნული. თეკლათის, მენჯის, ნოსირის კოლმეურნეობებში, სადაც მუშაგამწევი ძალა საკმაო რაოდენობით ჰყავთ, უმნიშვნელო რაოდენობითაა მოხნული ფართობები საკუთარი ძალებით. სასოფლო საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები, დეპუტატები და აქტივი ეფექტურ ღონისძიებებს არ ატარებენ ხვნაში არსებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

ზანის, ნაქალაქევის, გეჯეთის და ზოგიერთი სხვა სასოფლო საბჭოს სესიაზე და აღმასკომის სხდომებზე იშვიათად იხილავენ საკითხებს საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ; ამ საქმეში ნაკლებად არიან ჩაბმული საბჭოს დეპუტატები, სოფლის აქტივი.

საჭიროა მკვეთრად გავადიდოთ სასოფლო საბჭოების როლი სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში, უფრო მოქნილი, უნარიანი გავხადოთ მათი მუშაობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ“ და „კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ“ მოცემულია სერიოზული ღონისძიებანი კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ სამეურნეო განმტკიცების, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების და კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. სასოფლო საბჭოები საქმის ცოდნით, პრაქტიკულად უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს ამ დადგენილებების ცხოვრებაში გატარების საქმეში.

# ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებულის „მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ“ გამოცემა ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებული „მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ“.

კრებული რუსული გამოცემიდან მოამზადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა. (საქინფორმი).

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და ჩატარების საკითხი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ საგაზაფხულო თესვისათვის მზადება და საადრეო კულტურების თესვა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მტს-ებში ჩამორჩება მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი. 1 მარტისათვის შესრულებულია: კულტივატორების რემონტის გეგმა — 83,8 პროცენტით, სათესი მანქანებისა — 89,8 პროცენტით, სათიბებისა—91,6 პროცენტით.

განსაკუთრებით ჩამორჩებიან მისაბმელი იარაღ-მანქანების შეკეთებაში ხაშურის, რუისის, კასპის, ავჭალის, ქედის, აფენის, სართიჭალის, ზუგდიდის, კოლხიდისა და წულუკიძის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

მტს-ები სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყენებენ მათთვის გამოყოფილ საწვავის ფონდებს. 1956 წლის პირველ კვარტალში მტს-ებმა აითვისეს გამოყოფილი ბენზინის მხოლოდ 41,3 პროცენტი, სადიზელე საწვავის 59,3 პროცენტი და ნავთობის 61 პროცენტი. დღემდე არ შესდგომიან საწვავის ათვისებას გორის, ბარალეთის, განძის, ახალციხის, წალკის, გომარეთის, ქვალონისა და ჩხოროწყუს მტს-ები.

ჩამორჩენაა სათესლე მასალის მომზადებაში.

მიმდინარე წლის 1 მარტისათვის შემოწმებული 47.585 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბლის თესლიდან კონდიციურია 34.948 ცენტნერი, ანუ 72,8 პროცენტი; 90.724 ცენტნერი ქერიდან—61.330 ცენტნერი, ანუ 67,3 პროცენტი; 4.105 ცენტნერი მზესუმზირადან — 2.970 ცენტნერი, ანუ 74 პროცენტი.

ბევრია გაუწმენდავი თესლი ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და სხვა კოლმეურნეობებში.

მიუხედავად ხელშემწყობი ამინდისა, მზესუმზირა და საადრეო კულტურები დაითესა მეტად უმნიშვნელო ფართობზე. ამავე დროს 1955 წლის 1 მარტისათვის მარცვლეულის დათესილი ფართობი შეადგენდა 10.875 ჰექტარს, მზესუმზირასი—4.500 ჰექტარს და საკვები კულტურებისა — 1.661 ჰექტარს. მთელმა რიგმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა არ გამოიყენეს ზამთრის პერიოდი მექანიზატორთა და კოლმეურნეთა მოსამზადებლად კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც დაავალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიონული საბჭოების აღმასკომებსა და მტს-ების დირექტორებს განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი საგაზაფხულო თესვის მაღალი ხარისხით შესრულებისათვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში.

უახლოეს დღეებში უნდა დაამთავრონ ყველა ტრაქტორისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი, მოამზადონ კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის სპეციალური მანქანები და გადააკეთონ ამისათვის არსებული სათესი მანქანები.

უმოკლეს ვადაში დააკომპლექტონ სატრაქტორო ბრიგადები ტრაქტორისტებით, მისაბმელ-აღმრიცხველებით და გამოჰყონ მათთვის ბრიგადირები. საჭიროა აგრეთვე მოამზადონ კვადრატულ-ბუდობრივ თესვაზე სამუშაოდ მექანიზატორები და კოლმეურნეები სათანადო რაოდენობით და მიუჩინონ ისინი სათეს აგრეგატებს თესვის დამთავრებამდე. ამისათვის გამოყოფილი კოლმეურნეები არ უნდა გამოიყენონ სხვა სამუშაოზე.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა შეუფერხებელი შესრულების უზრუნველსაყოფად უახლოეს დღეებში უნდა დამთავრდეს მტს-ებისათვის გამოყოფილი საწვავისა და საცხები მასალის მთელი რაოდენობით ათვისება.

ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ თითეული კოლმეურნეობის უზრუნველსაყოფად ყველა საგაზაფხულო კულტურის თესლით. ამასთანავე უახლოეს დღეებში დაამთავრონ თესლის გაწმენდა და უზრუნველყონ მისი სრული კონდიციურობა. სახელმწიფო ფონდებიდან უნდა მიიღონ გადაცვლისა და შესყიდვის წესით გამოყოფილი საგაზაფხულო კულტურების თესლი და გამოიყენონ დანიშნულებისამებრ.

კოლმეურნეობებმა დაუყოვნებლივ უნდა მოიყვანონ სრულ წესრიგზე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და სატრანსპორტო საშუალებანი და გადაიყვანონ მუშა-პირუტყვი გაძლიერებულ კვებაზე. სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ სოფლმომარაგების საწყობებიდან მინერალური სასუქების დროულად წაღებას და მინდვრად ნაკელის გატანას.

სიმინდი და სხვა სათოხნი კულტურები კვადრატულ-ბუდობრივი წესით უნდა დათესონ რაც შეიძლება მეტ და პირველ რიგში მზრალად ან ადრე გაზაფხულზე მოხნულ ფართობზე, რისთვისაც მაქსიმალურად გამოიყენონ მტს-ების სათესი მანქანები და უზრუნველყონ კვადრატულ-ბუდობრივი თესვის მაღალი ხარისხი.

საგაზაფხულო თავთავიანი კულტურები უნდა დათესონ ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად, ყველა კულტურის თესვა დაამთავრონ შემჭიდროებულ ვადებში, არ დაუშვან უკონდიციო და შეუწამლავი თესლის თესვა.

სრულ წესრიგზე უნდა მოიყვანონ სარწყავი ქსელი.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ სისტემატურად შეამოწმონ საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობა და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი მტს-ებსა და კოლმეურნეობებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. (საქინფორმი).



სურათზე: მოწინავე ქალები მოსკოვიდან.
ფოტო ვ. მასტიუკოვასი და ბ. ტრეპეტოვასი. (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

## მთელი ძალები—სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის!

# დაუცხრომლად ვიბრძოლოთ ჩაის უხვი მოსავლისათვის

ფართოდ დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება

## მივიღებ უფრო მეტ მოსავალს

ჩაის კულტურა ბავშვობიდანვე მიზიდავდა. როგორც კი სრულწლოვანი გავხდი, მთელი ჩემი ენერგიით დავიწყე ჩაის პლანტაციებში მუშაობა. პირველად ჩემს საზრუნავს შეადგენდა მოსავლიანობის გადიდება. ამისათვის ვსწავლობდი მოწინავე მეჩაიეების თამარ ყუფუნიას, დარეჯან ტაკიძის და სხვათა მუშაობის მეთოდებს. მონდომებულად შევისწავლე ჩაის პლანტაციის მოვლის აგროტექნიკა.

ყოველივე ამის შედეგად რამდენიმე წელია მოსავლიანად გაპიროვნებული ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან ყოველწლიურად მაღალი მოსავალი მომყავს. 1955 წელს ნახევარი ჰექტარიდან მოვკრიფე 7.639 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

უხვი მოსავლის მისაღებად ზუსტად ვიცავ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს. შემოდგომის დამლევს ჩაის პლანტაციაში შემაქვს ორგანული სასუქი, აგრეთვე ფოსფოროვანი სასუქი და კალიუმი და მას ვბარავ. წესრიგში მომყავს სადრენაჟო სისტემა. მარტში ჩაის ბუჩქებს ვსხლავ და მას ვაძლევ ნახევრად ოვალურ ფორმას. მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში პლანტაციაში შემაქვს აზოტოვანი სასუქის პირველი დოზა და ვაფხვიერებ ნიადაგს—ვთოხნი ღრმად. აზოტოვანი სასუქის მეორე და შემდეგი დოზები შემაქვს ყოველ 20 დღეში. სულ აზოტოვანი სასუქი სამ დოზად შემაქვს. ამასთან პლანტაციებს ვთოხნი 4-5-ჯერ, საჭიროებისდა მიხედვით.

პლანტაციების კარგად დამუშავების შედეგად ჩაის ბუჩქები სწრაფად იზრდება. გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ უხვი და ხარისხოვანი ფოთლის მისაღებად მარტო პლანტაციების დროული დამუშავება როდია გადამწყვეტი. დიდი მნიშვნელობა აქვს შემოსული ფოთლის წესიერ კრეფას. ვკრეფ მხოლოდ შემოსულ დუყებს. ვიცი, რომ ნაადრევი კრეფა ასუსტებს მცენარეს და ამცირებს ახალი დუყების წარმოქმნას. ჩაის ფოთოლს ვკრეფ ყოველდღიურად, რითაც თავიდან ვიცილებ გაუხეშებას.

სიხარულით გავეცანი პარტიის მე 20 ყრილობის გადაწყვეტილებებს. ჩავები რა მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მისაღებად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება ავიღე ჩემზე მოსავლიანად გაპიროვნებული 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოვკრიფო 8.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ლ. მიგინეიშვილი,
ხორშის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, მოწინავე მეჩაიე.

## დავაჩქაროთ სამუშაოები ჩაის პლანტაციებში

რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის მსუბუქი გამობარვა გეგმით გათვალისწინებული 1.445,47 ჰექტარიდან ჩატარებულია 1.075,2 ჰექტარზე. აღნიშნული სამუშაოების შესრულებაში ბევრ კოლმეურნეობას კარგი მაჩვენებლები გააჩნია. ფოცხოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას ჩაის მსუბუქი გამობარვა მთლიანად დამთავრებული აქვს. ეს სამუშაოები დროზე დაამთავრეს უშაფათის სტალინის, ზანის ჟდანოვის, ეკის სტალინის და ხორშის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ჩაის მსუბუქ გადაბარვაში წარმატებები გააჩნიათ ეკის რუსთაველის, ეჯეთის მალენკოვის, ლეძაძამის სტალინის, უშაფათის კალინინის, ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებს.

რაიონის კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი უსულგულო დამოკიდებულებას იჩენს ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმისადმი. ჩაის პლანტაციების მსუბუქი გამობარვის სამუშაოებში საგრძნობლად ჩამორჩა ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ, ნაცვლად 24 ჰექტარისა, გამობარულია 8,3 ჰექტარი. უარესი მდგომარეობაა ქ. ცხაკაიას სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც აღნიშნული სამუშაო უნდა ჩატარებულიყო 51 ჰექტარზე. ფაქტიურად შესრულებულია 6.5 ჰექტარზე. საგრძნობლად ჩამორჩნენ ნაქალაქევის მოლოტოვის, ნოსირის ლენინის, ზემოქალაქიდის მალენკოვის და ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები.

ნელი ტემპით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების გასხვლა. 1.571 ჰექტარიდან ჩაის გასხვლა ჩატარებულია 232,5 ჰექტარზე. ამ სამუშაოების შესრულებაში შედარებით კარგი მდგომარეობა აქვთ ეკის სტალინისა და რუსთაველის, ლეძაძამის სტალინისა და ცხაკაიას, უშაფათის სტალინის, ორჯონიკიძისა და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებს. ყველაზე კარგი შედეგები გააჩნია ფოცხოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას. გეგმით გათვალისწინებული 70 ჰექტარიდან გასხლულია 60 ჰექტარზე მეტი პლანტაცია.

მაგრამ ბევრგან აღნიშნულ სამუშაოს ჯერ კიდევ არ შესდგომიან, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. ამ სამუშაოებს აჭიანურებენ ხორშის სტალინისა და ხრუშჩოვის, ფოცხოს სტალინის, ნაქალაქევის „პრავდისა“ და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

უნდა გვახსოვდეს, რომ თუ მკვეთრად არ გაძლიერდა მუშაობის ტემპი, აუცილებელია, ეს მკაცრად იმოქმედებს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაზე. საჭიროა ჩაის სამუშაოების ტემპი გადაჭრით გაძლიერდეს.

## ჩამორჩენილებმა მოწინავეებს უნდა მიბაძონ

ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციის მოვლას სერიოზული ყურადღება ექცევა. ჩაის სამუშაოებში ყველაზე წინ მიდის პირველი ბრიგადა (ხელმძღვანელი პ. ცხვიტავა). ბრიგადამ ხარისხოვნად ჩაატარა პლანტაციების მსუბუქი გადაბარვა მინერალური სასუქების შეტანით. ახლა აქ მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების გასხვლა და აზოტოვანი სასუქის პირველი დოზის შეტანა. ენერგიულად მუშაობენ ბრიგადის წევრები ე. ცხვიტავა, თ. კუჭავა, ტ. ცხვიტავა და სხვები.

თვალსაჩინო წარმატება გააჩნია მეორე ბრიგადასაც (ხელმძღვანელი ლ. ნინუა). მეორე ბრიგადის წევრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლამარა ფარღალავას ენერგიული მუშაობა. მან მაღალხარისხოვნად დაამუშავა მოსავლელად მიჩენილი ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ჩაის ბუჩქებს ენერგიულად უვლიან აგრეთვე კოლმეურნეები ფ. გაბელია, ძ. ადამია და სხვები.

მაგრამ ამ ბრიგადაში ყველა კოლმეურნე როდი მუშაობს მონდომებულად. მაგალითად, მიცემული დავალებების შესრულებაში ჩამორჩებიან ლ. სიჭინავა, ვ. მენაბდე და სხვები. საჭიროა ჩამორჩენილებმა მიბაძონ მოწინავეებს.

შ. ადამია,
„ავანგარდის“ კორ.

## 600 ათასი კილოგრამი ჩაისათვის

სოფელ ზანის მშრომელები დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ძლიერების ზრდის და ხალხთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საბრძოლო პროგრამაა. ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენ, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, ვავლენთ გამოუყენებელ რეზერვებს და ვსახავთ კონკრეტულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ მეექვსე ხუთწლედში დასახული ამოცანები.

კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროს ჩაის კულტურა შეადგენს. გასულ წელს ჩაიდან მიღებულია 4 მილიონ 400 ათასი მანეთის შემოსავალი. ჩვენი კოლმეურნეები, შეგნებული აქვთ რა ჩაის კულტურის მნიშვნელობა, ყოველწლიურად აუმჯობესებენ პლანტაციების მოვლას, რის შედეგად სისტემატიურად დიდდება ჩაის მოსავლიანობა. 1950 წელს კოლმეურნეობაში მოკრეფილ იქნა 336.968 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1955 წელს მოვკრიფეთ 480 ათასი კილოგრამი.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობამ გასულ სამეურნეო წელს წარმატებით შეასრულა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, კიდევ მეტის გაკეთება შეიძლებოდა, რომ ყველა რეზერვი გამოგვეყენებინა მთლიანად. გეგმიური დავალების შესრულებაში ჩამორჩნენ პირველი, მეორე, მეშვიდე და მეცხრე ბრიგადები. კოლმეურნეობის საერთო კრებამ იმსჯელა ამ ბრიგადირებისა და კოლმეურნეების შესახებ, რომლებსაც გასულ სამეურნეო წელს არ შეუსრულებიათ ჩაის კრეფისა და სხვა დავალებები და მათ სათანადო სასჯელი დაადო.

ვითვალისწინებთ რა გასული წლის ნაკლოვანებებს, მიმდინარე წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩაის კულტურის მოვლა-დამუშავება. კოლმეურნეობამ, მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, 264 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ჩაატარა მსუბუქი გადაბარვა მინერალური სასუქების შეტანით. ამჟამად მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების გასხვლა ფორმის მიცემით და აზოტოვანი სასუქის პირველი დოზის შეტანა. ჩაის პლანტაციის გასხვლა დღემდე ჩატარებულია 153 ჰექტარზე.

ჩაის პლანტაციებს საუკეთესოდ უვლიან და მიცემულ დავალებებს წარმატებით ასრულებენ მესამე (ხელმძღვანელი კ. გვაძაბია), მეოთხე (ხელმძღვანელი თ. ლოპარტია), მეხუთე (ხელმძღვანელი ლ. ჯიქია), მეშვიდე (ხელმძღვანელი შ. გვაძაბია) და მეთერთმეტე (ხელმძღვანელი მ. ქვაშილავა) ბრიგადები.

ჩვენს მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ არის ისეთი ბრიგადა და რგოლი, რომელიც დროზე ვერ ასრულებს მიცემულ გეგმებს. შრომის ორგანიზაციის არაწესიერად მოწყობის შედეგად ჩამორჩებიან მეორე, მეცხრე და მეათე ბრიგადები. ზოგიერთი კოლმეურნე რატომღაც თავს არიდებს პატიოსან შრომას და უხეირო მოქმედებით ხელს უშლის კოლმეურნეობას უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში. არაკეთილსინდისიერად მუშაობენ კ. ტყებუჩავა, ც. ბოჯგუა, მ. ხორავა, ლ. შეროზია, კ. ანთია, მ. შეროზია, ა. მირგატია, კ. ყურუა, გ. ფიფია, მ. ჩახაია. მათ მიმართ ჩვენ მოგვიხდება მკვეთრი ზომების მიღება.

ჩვენი კოლმეურნეები, რომლებიც გაეცნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მე 20 ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ერთსულოვნად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 600 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ნაკისრ ვალდებულებებში აღნიშნულია აგრეთვე სიმინდის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდების შესახებ. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ცალკეულმა ბრიგადებმა, რგოლებმა და მოწინავე ადამიანებმა. მეოთხე ბრიგადის კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩააბარონ 70 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. მეშვიდე ბრიგადის წევრებმა იკისრეს 90 ათასი კილოგრამი ჩაის ჩაბარება, ხოლო მეცხრე ბრიგადის წევრებმა — 92 ათასი კილოგრამისა.

ამჟამად კოლმეურნეობაში დაუცხრომელი მუშაობაა გაჩაღებული ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. ჩაის საგაზაფხულო სამუშაოებთან ერთად მიმდინარეობს მზადება ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებისათვის. სწარმოებს ფართობებამდე მისასვლელი გზებისა და თავშესაფარი ფარდულების შეკეთება. ვიმარაგებთ ჩაის საკრეფ კალათებს და გადასატან ტარამასალას.

მივიღებთ ყოველგვარ ზომებს მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს ახალი წარმატებათა მოსაპოვებლად, რათა სახელმწიფოს მივცეთ მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ვ. ბაკურაძე,
ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.